ჩემპიონატი

თბილისის “დინამომ” კვლავ დაკარგა ორი ქულა

(ლენინგრადი, ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან).

30 ივნისს **ლენინგრადში** ჩატარდა მე-10 კალენდარული მატჩი ფეხბურთში სსრკ პირველობაზე. თამაშობდნენ **ამავე ქალაქისა და თბილისის “დინამოს” გუნდები.**

ლენინგრადელები გამოვიდნენ ძირითადი შემადგენლობით. თბილისის “დინამოს” შემადგენლობაში იყვნენ: ტყებუჩავა, შავგულიძე, გაგუა, ჯორბენაძე, ფროლოვი, ჭელიძე, ჯეჯელავა, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეჟნოი და გავაშელი.

მე-15 წუთზე ძლიერი კუთხური გარტყმით პაიჭაძეს გააქვს პირველი ბურთი. 2 წუთის შემდეგ ნ. დემენტიევი “მკვდარი” ბურთით ათანაბრებს ანგარიშს.

პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ – 1:1.

შეჯიბრების მეორე ნახევრის პირველ წუთებიდანვე ლენინგრადელები “დასახლდნენ” თბილისის დინამოელთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ მეკარე ტყებუჩავას ვირტუოზულმა თამაშმა იხსნა კარი თითქმის აუღებელი ბურთებისაგან. 27-ე წუთზე ნ. დემენტიევს კვლავ გააქვს მეორე “მკვდარი” ბურთი. ტაიმის უკანასკნელ წუთებში პაიჭაძე და გავაშელი ხშირად ურტყამენ მოწინააღმდეგეთა კარში ბურთებს, მაგრამ იგერიებს მეკარე კუზმინსკი. მე–39 წუთზე ალოვი უსხლტება ხელიდან გაგუას და აწვდის საზონოვს. ეს უკანასკნელი 3 მეტრიდან ათავსებს კარში. 41-ე წუთზე პაიჭაძის მიერ მიწოდებული ბურთი გააქვს ჯეჯელავას, რის შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა.

თბილისის “დინამომ” კვლავ დაკარგა ორი ქულა. წააგო მატჩი ანგარიშით – 2:3.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 2 ივლისი, 1939 წ.